შპს „შენობა-ნაგებობათა კვლევისა და
ექსპერტიზის ცენტრი"
LTD „THE CENTER OF BUILDING RESEARCH
AND EXPERTISE"

თბილისი, თამარ მეფის გამზირი 5ა
Tel: (+995 32227704, E-mail: expertcenter@gmail.com
Tamar Mefis gam. 5a, Tbilisi, Georgia

09.08.17 № 08-07-31
თქვ. №

ექსპერტიზის დასკვნა

ობიექტის მისამართი: ქ. თბილისი, - პურის მოედანი №1 და №2

დასკვნის შედგენის საფუძველი: ხელშეკრულება 01.08.2017 წ

ობიექტის დახასიათება: ქ. თბილისი პურის მოედანი №1 და №2 შენობების რეკონსტრუქცია ადაპტაცია, (კორექტირებული პროექტი)

დაწყებულია: 01 აგვისტო 2017 წელი

დასრულებულია: 10 აგვისტო 2017 წელი

გამტკიცებ.
შენობა ნაგებობათა კვლევის
და ექსპერტიზის ცენტრი
დირექტორი რ.ცხვედაძე
თბილისი
2017 წლის 10 აგვისტო

ექსპერტიზის დასკვნა

: ქ. თბილისი პურის მოედანი №1 და №2 შენობების რეკონსტრუქცია ადაპტაცია, კორექტირებული პროექტის კონსტრუქციული ნაწილის, კორექტირებით გათვალისწინებული სამუშაოების, არსებული შენობის მდგრადობისა და მომიჯნავე შენობების უსაფრთხოების შესახებ ექსპერტიზა

თბილისი

2017 წელი

შემადგენლობა

1. ინსპექტირების შემსრულებელები- 3
2. გამოყენებული ნორმატიული დოკუმენტები- - - - - - - - - - - - - - - 3
3. გამოყენებული ხელსაწყოები- 4
4. კვლევითი ნაწილი- 5
5. დასკვნა- 7

ინსპექტირების შემსრულებლები

ექსპერტი: *დათო ჯანყარაშვილი*

სამართლებრივად ნაკისრი ვალდებულებებით პასუხისმგებელნი ვართ ინსპექტირება ვაწარმოოთ მიუკერძოებლად, ჯეროვნად ვსარგებლოთ კვლევა და დავიცვათ ინსპექტირების ჩატარების დროს მიღებული ან წარმოქმნილი ნებისმიერი სახის ინფორმაციის კონფიდენციალურობა.

ორგანოს ხელმძღვანელის მიერ განგვემარტა ექსპერტის უფლება-მოვალეობები, რაც გათვალისწინებულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 168-ე და საქართველოს ზოსხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 51-ე და 52-ე მუხლებით.

გამოყენებული ნორმატიული ლიტერატურა

1. საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილება და მშენებლობის ნებართვის გაცემის წესის და სანებართვო პირობების შესახებ "საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილება;
2. საქართველოს მთვარობის №71 დადგენილება –„საქართველოს ტერიტორიაზე სამშენებლო სფეროს მარეგულირებელი ტექნიკური რეგლამენტები":
   - ტექნიკური რეგლამენტი – „ბეტონისა და რკინაბეტონის კონსტრუქციები" (დანართი 1);
   - ტექნიკური რეგლამენტი – „შენობებისა და ნაგებობების ფუძეები" (დანართი 2);
   - ტექნიკური რეგლამენტი – „სეისმომედეგი მშენებლობა" (დანართი 3);
   - ტექნიკური რეგლამენტი – „სამშენებლო კლიმატოლოგია" (დანართი 5);
3. СНиП II - 23-81 „Стальные конструкции";
4. СНиП II 21 - 75 „приложение 5".

ქ. თბილისი პურის მოედანი №1 და №2 შენობების რეკონსტრუქცია ადაპტაციაკორექტირებული პროექტი დამუშავებულია შპს" AM ფარდის" მიერ (პროექტის ავტორები: ა.გოგიაშვილი მ. ბუხაიძე კონსტრუქტორი გ.ცომაია)

საექსპერტოდ დამკვეთის მიერ წარმოდგენილია შემდეგი მასალები:

ა) ქ. თბილისი პურის მოედანი №1 და №2 შენობების რეკონსტრუქცია ადაპტაცია, კორექტირებული პროექტის არქიტექტურული და კონსტრუქციული ნაწილის ნახაზების ელექტრონული ვერსია;

ბ) აღნიშნული შენობის მონოლითური რკინაბეტონის მზიდ კონსტრუქციათა ტექნიკური გადაწყვეტები. მათ შორის, საძირკვლის კონსტრუქციები, სვეტების, დიაფრაგმების, კედლების, გადახურვის კონსტრუქციათა სამონტაჟო სქემები, კონსტრუქციების საყალიბე და ბეტონის მზიდი ელემენტების

დაარმატურებისათვის საჭირო საშემსრულებლო ნახაზები, მათი არმირებისა და კვანძების გადაწყვეტათა ტექნიკური დოკუმენტაცია.

დამკვეთის დავალების საფუძველზე, წარმოდგენილი მასალების მიხედვით შესამოწმებელია, ქ. თბილისი პურის მოედანი №1 და №2 შენობების რეკონსტრუქცია ადაპტაცია, კორექტირებული კონსტრუქციული პროექტი, კორექტირებით გამოწვეული სამუშაოები, არსებული შენობის მდგრადობა და მომიჯნავე შენობების უსაფრთხოება, ქვეყანაში მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების შესაბამისად.

შენობის დაფუძნება:

, საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნის მიხედვით შენობია დაფუძნებულია ხრეშის (მინარევების გარეშე)ხელოვნურ ერთი მეტრი სისქის ფუძეზე,მისი შრებრივი დატკეპნით (შრის სისქე 20-30 სმ).გამართლებულია ტერიტორიის გეოლოგიური აღნაგობიდან გამომდინარე, ხოლო საძირკვლად მიღებულია მონოლითური რკინაბეტონის ფილა სისქით 60 სმ.რომლის ქვეშ მოეწყო ბეტონის მმზადება.10-20 სმ სისქით. ნულოვანი ნიშნულის ვედა კონსტრუქციები (ცოკოლის კედელი და საძირკვლის ფილა შესრულებულია W8 წყალშეუღწევადობის მარკის ბეტონით.

მზიდი კონსტრუქციების ზოგადი აღწერა:

საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით შენობა კონსტრუქციული თვალსაზრისით წარმოადგენს მონოლითურ რკინაბეტონის ჩონჩხებს ჩარჩოვან-სივრცული სისტემით, რკინაბეტონის მონოლითური სვეტებით, განივკვეთის 400X400 მმ,რიგელებით, განივკვეთით 400X500 მმ გადახურვის ფილით სისქით 180 მმ, რკინაბეტონის მონოლითური .კიბეებით. ბეტონის კლასი B-25. ბეტონის დამცავი შრე საძირკვლის ფილაში და ცოკოლის კედლებში 40 მმ;სვეტებში და რიგელებში 25 მმ; გადახურვის ფილაში 18 მმ

წინამდებარე პროექტის - კორექტირება გამოწვეულია საინჟინრო-ტექნიკური მიზეზებით. სამეზობლო საზღვარზე არსებული ავარიული შენობის (ასათიანის ქ. №2) გამაგრებამ, რომელიც განხორციელდა საპროექტო შენობის ტერიტორიაზე, გამოიწვია მიწისზედა კონტურის გეომეტრიის ცვლილება (შემცირება). ასევე შემცირდა მიწისქვეშა სართულიანობა ორი სართულის მაგიერ შესრულდა ერთი სართული.. წარმოდგენილ, კორექტირებულ პროექტში შენარჩუნებულია საპროექტო

შენობის ვიზუალური და მხატვრულ-ესთეტიური სახე, თავდაპირველად საპროექტო შენობის ცენტრში გათვალისწინებული იყო ე.წ. შიდა• ეზო (ატრიუმი). უკანასკნელი პერიოდის ატმოსფერული ნალექების მოჭარბებული დონის გამო, გადაწყდა ამ ატრიუმის თავზე ლითონის მსუბუქი, შემინული კონტრუქციის მოწყობა. 7-10 ღერძებში საქვაბისთვის განკუთვნილი ფართის მოწყობა და მის მიმდებარედ• კაფეს განთავსება. ამ სათავსების გადახურვის კონტური გაიმეორებს უკვე არსებული სახურავის კონტურს, იგივე დახრის გრადუსითა და ნაწილობრივ იგივე მასალის გამოყენებით. კაფეს ფართი შემოისაზღვრება ლითონის მსუბუქი, შემინული კონსტრუქციით,• რომლის თავზეც იქნება ტენტური გადახურვა. ყოველივე ზემოთთქმულის გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ წინამდებარე პროექტი მნიშვნელოვნად სახეცვლილი არაა და მაქსიმალურად მიახლოებულია 2015 წელს შეთანხმებულ პროექტთან. კონსტრუქციულად ცვლილება ეხება 7-10 ღერძებში სახურავის რეკონსტრუქცას.რაც გულისხმობს შენობის 1-6 ღერძებში არსებული სახურავის მსგავსად შესრულებას.დღევანდელი მდგომარეობით საპროექტო შენობის კონსტრუქციული ნაწილი და და გარე ფასადის სამუშაოები დასრულებულია.- კონსტრუქციების გაბარიტული ზომები და კვეთები შესაბამისობაშია კორექტირებულ საპროექტო მონაცემებთან. პროექტში გათვალისწინებულია მომიჯნავე შენობებზე მშენებლობის პროცესის და ექსპლოატაციის შემდგომ გავლენის აღმოსაფხვრელი ღონისძიებები(შპუნტური კედლები მოწყობილია).

საპროექტო შენობის სამეზობლოდ მდებარეობს ორი შენობა ასათიანის ქ. N3 და პურის ჩიხი N1.

ასათიანის ქ. 3-ის შენობა ორ სართულიანია სარდაფით, შენობიდან საპროექტო შენობის საძირკვლის ფილამდე მანძილი შეადგენს 2 მეტრს. არსებული გეოლოგიური პირობების გათვალისწინებით პროექტით მოწყობილია დამჭერი "შპუნტური"- კედელი.

პურის ჩიხი I-ის შენობა ორსართულიანია სარდაფით, შენობიდან საპროექტო შენობის საძირკვლის ფილამდე მანძილი შეადგენს 5 მეტრს არსებული

გეოლოგიური პირობების გათვალისწინებით პროექტით მოწყობილია დამჭერი "შპუნტური"- კედლი.

საპროექტო შენობის მდგომარეობა მდგრადობის თვალსაზრისით დამაკმაყოფილებელია შენობას არ გააჩნია საძირკველში და კედლებში ჯდენითი ან სხვა რაიმე მიზეზით გამოწვეული დეფორმაციები(ბზარები), რომელიც უარყოფით გავლენას მოახდენდა შენობის მდგრადობაზე.

კორექტირებული პროექტით გათვალისწინებული სამუშაოები არ მოახდენს მომიჯნავე შენობებზე უარყოფით გავლენას.

კორექტირებული პროექტის კონსტრუქციული ნაწილის ნახაზები პასუხობს ქვეყანაში მოქმედ ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნებს. ნაგებობის ფუძეები, საძირკვლები და შემადგენელი კონსტრუქციული ელემენტების არმირებები შეესაბამება კომპიუტერული საანგარიშო მოდელის დაძაბულ-დეფორმირებული მდგომარეობის საფუძველზე მიღებულ არმირებებს და შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ შენობა აკმაყოფილებს მდგრადობის, სიმტკიცის და დეფორმაციის შესაბამისი ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნებს.

.

დასკვნა:

ქ. თბილისი პურის მოედანი №1 და №2 შენობების რეკონსტრუქცია ადაპტაციაკორექტირებული პროექტი დამუშავებულია შპს" AM ფარდის" მიერ (პროექტის ავტორები: აგოგიაშვილი მ. ბუხაიძე კონსტრუქტორი გ-ცომაია) კორექტირებული პროექტის კონსტრუქციული ნაწილის ნახაზები შესრულებულია მაღალ ტექნიკურ დონეზე, პასუხობს ქვეყანაში მოქმედი ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნებს. კორექტირებით გათვალისწინებულ სამუშაოებს , არსებული შენობის მდგრადობასა და კორექტირებულ კონსტრუქციულ პროექტს ეძლევა დადებითი შეფასება.

კორექტირებული პროექტით გათვალისწინებული სამუშაოები არ მოახდენს მომიჯნავე შენობებზე უარყოფით გავლენას.

არსებული შენობის კორექტირებული სამუშაოების განხორციელება კონსტრუქციული პროექტის შესაბამისად შესაძლებლია და პროექტს ეძლევა დადებითი რეკომენდაცია დასამტკიცებლად.

ექსპერტი:

პროფესორი, საექსპერტო გამოცდილება 20 წელი,

შრომითი მოღვაწეობის სტაჟი 40წელი დათო ჯანყარაშვილი